ეროვნული
ბიბლიოთეკა

მწყემსი

ეგ ვარ ქრისტე: კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდვა ცხოვართათვის. (იოან. 10—11).

ვინცა ცხოვარი ჩემი წაწყმედული. ესრეთ იყოს სიხარული ცათა შინა, ერთისთვის ცოდვილისა. (ლუკ. 15—4).

მოვედით ჩემდა ყოველნი მაშურალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგიხსენო თქვენ. (მათ. 11 28).

№ 3 1883—1896 15 თებერვალი

გაზეთის ფასი:

	„მწყემსი“	„მწყემსი“ რუსული გამოცემით
1 თვით	. . . 5 მან.	12 თვით . . . 7 მან.
2 ½ —	. . . 2 —	6 — . . . 3 —

თულისა და წერილების გაგზავნა შეიძლება ამ ადრესით:
Въ Квирилы, въ редакцію „Мцкемси“ и „Пастырь“.

უველა სტატეები და კორრესპონდენციები, რომელნიც იქმნებიან დასაბეჭდავნი გამოგზავნილნი ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი.

სტატია, რომელიც არ დაიბეჭდება, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატეები მიიღებიან რუსულს ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

რღვნობისა და თოვლის ზვავებისაგან უბედური ზემთხვევანი.

დიდი ხანია, რაც ჩვენს ხალხს, განსაკუთრებით ქუთაისის გუბერნიის მცხოვრებთ, ისეთი უბედური წლები არ დადგომია, როგორიც ეს უკანასკნელი 1895 წ. და განსაკუთრებით ეს მიმდინარე წელიწადია მათთვის. წინეთ, როდესაც რუსეთში შიმშილობა იყო, ჩვენში უსვი მოსავალი იყო, მაგრამ სამხღვარ გარეთ სიმდიდის კატანა არ შეიძლებოდა ⸗ შიგ საველმწიფოში არავინ იყიდა და ამიტომ ჩვენი ხალხი იმ დამშეულ ხალხზე უფრო გაჭიკრებულს მდგომარეობაში ჩავარდა. რადგან ეს უსვი მოსავალი მისთვის გამოუსადეგარი შეიქმნა.

წარსულს წელში ხომ რღვნობამ დაღუპა საუარბელი სიმდიდრე მცხოვრებლებისა და კაცი შემბრალე არავინ ადმოჩნდა, ეხლა საოცარი

თბილისი

თოვლი მოვიდა და მრავალი კაცი იმსხვერპლა. ჩვენს რედაქციაში მიღებულია მრავალი წერილები და ცნობები, რომელთაგან ცხადათ სჩანს, თუ რა უბედურება მიადგა ზოგიერთებს თოვლის ზვავებისაგან მრავალს ადგილას. მართალი რომ სთქვას კაცმა, ეს 20—25 წელიწადია, რაც ასეთი დიდი თოვლი აღარ მოსულა ჩვენში და მისთვის გვიკვირს, თორემ ძველ დროში ამოდენა თოვლი მოდიოდა ყოველთვის ზამთრობით. ბოლო დროს სრულებით გადავეჩვიეთ ზამთარს და რადგან წელს მომზადებული არ ვიყავით, მისთვის გვიმძნელდება და უბედურ ზამთრად მიგვაჩნია. ამ დიდ თოვლს თან მოჰყვა ქარ-ბუქი. ამის ბრალია თოვლის ზვავები. მთა-გორიან ადგილებში მცხოვრებთ დიდი უბედურება მიადგა. ზეგანში, როგორც იქიდამ მოწერილ ამბავს წაიკითხავს მკითხველი, ზვავებს რამდენიმე გლეხი წაუღია და გაუნადგურებია სახლ-კარით, სოფელს კვალითში ორი-სამი გლეხი სრულებით წაიღო ზვავმა, ორი მოკვდა და სხვანი მკვდარ-ცოცხალი ამოთხარეს თორმეტ სულამდის. სოფ. რუფოთში ერთი კაცი შიმშილით მომკვდარა, რადგან წისქვილზე ვერა დაუფქვავს რა. სოფელს შროშაში ორი-სამი მოსახლე წაიღო თოვლის ზვავმა. მეორე დღეს დედა ორი პატარა მუმუმწოვარი ყმაწვილებით და კაცები ექვს სულამდე მკვდრები ამოთხარეს თოვლიდამ და დანარჩენი მკვდარ-ცოცხლები ნახეს და მლივს მოაბრუნეს. რამდენი ამისთანა ამბები მოხდა, ვინ მოსთვლის. სოფლებში ქვრივ-ობლები დიდ გაჭირვებაში არიან, რადგან მიმოსვლა შეწყვეტილია... ამისთანა სამწუხარო სურათს წარმოადგენს ჩვენი გაჭირვებული ხალხის ცხოვრება და შემწეობა და დახმარება კი არსაიდამ არ არის. ამას წინეთ ამბობდენ, რომ კომიტეტი დგება დაზარალებულთა დასახმარებლადო, მაგრამ სად არის ეს კომიტეტი და როდეს დაეხმარება იგი გაჭირვებულთა?...

დიდი მარხვა დადგა, დრო სინანულისა, ლოცვა-ვედრებისა და კეთილის საქმის აღსრულებისა. ქრისტიანენო! გაისსენეთ თქვენი გაჭირვებული მოძმენი, შეეწიეთ, რითაც შეგეძლოსთ. ცოტ-ცოტა შეწირულებაც მრავალთაგან ბევრი შესდგება და მრავალს დაიხსნის ტანჯვა-წვალებისაგან. ჩვენ ეხლა ვემზადებით საზიარებლად და მით ვამტკიცებთ საქვეყნოდ, რომ ქრისტიანენი ვართ და ქრისტეს მცნების აღმასრულებელნი. გაიხსენეთ ყველამ ქრისტეს მოძღვრება გაჭივრებულთა და საწყალთა შებრალებაზე.

ჩვენ მოძღვარნი ვალდებული ვართ აღვამაღლოთ ხმა და მოუწოდოთ სამწყსოთა, რომ შეეწიონ გაჭირვებულთა და მოწყალება მისცენ მათ, რომ ღმერთმან ერთიორად მიაგოს კეთილისმყოფელთ.

ჩვენ დიდის სიამოვნებით მივიღებთ ყოველგვარ შეწირულებას და გარდავსცემთ გაჭირვებულთა დამხმარე კომიტეტს და თვითონაც მივიღებთ მონაწილეობას, რომ გაჭირვებულთა ერგოს შენაწირი კეთილ-მნებელთ პირთაგან.

ისევ ჩვენვე ვიზრუნოთ ჩვენ გაჭირვებულებზე, რადგან სხვა ღონე და დახმარება არსაიდან სჩანს...

დეკ. დ. ღამბაშიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის განსვენებისა გამო.

განსვენებული ყოვლად სამღვდელოს გაბრიელის ნაშთის გამოსვენების დღეს, 3-ს თებერვალს, ძლიერ ცუდი ტაროსი იყო. თითქმის ამ დღეს განუწყვეტლად თოვდა. გზა გატკეპნილი იყო, მაგრამ მაინც ძლიერ საძნელო იყო სიარული. კუბოს მიასვენებდენ რიგ-რიგობით მღვდლები, დეკანოზები და არქიმანდრიტები. ხალხი მრავალი დაესწრო. მგალობლები ორ-სამ პირათ გალობდენ საგალობლებს. წესის აგება სამს საათზე გათავდა. დეკანოზმა ცაგარეიშვილმა განიცადენის დროს წარმოსთქვა გრძელი სიტყვა, რომელშიაც მშვენივრად დაასურათა განსვენებულის ყოვლად სამღვდელოს ცხოვრება და მოღვაწეობა. ყოვლად სამღვდელო ბესარიონმა წარმოსთქვა ძველი ქართულის კილოთი მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც გამოხატა დიდებული მოღვაწეობა და სასარგებლო ნაყოფიერი სამსახური განსვენებულისა, ბოლოს ისურვა, რომ სხვანიც წამბაძველნი იყვნენ მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობისა. სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა დიმიტრიმ წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიაც დახატული იყო ცხოვრება და მოღვაწეობა განსვენებულის მღვდელმთავრისა, რასაკვირველია, რამდენათაც შეეძლო გაეცნო განსვენებული თავისი მოკლე ხნის სამსახურის დროს. შემდეგ რექტორისა დეკ. ი. ჭეიშვილმა წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

„ძმ. ქრისტიანენო! ვგონებ, რომ დღეს არ არის ისეთი კაცი, არა თუ იმერეთის ეპარქიისა, არამედ შორეული ქვეყნისაც, სადამდისაც კი მივიდა ამბავი ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალებაზე, რომელიც არა გრძნობდეს მწუხარებასა. დღეს არა თუ მისნი საყვარელნი ნათესავნი და მეგობრები მიეცემიან გლოვასა და მწუხარებასა, არამედ ყოველნი პირნი, რომელთაც კი ჰქონდათ გაგებული, ვინ იყო ყოვლად სამღვდელო გაბრიელი და რა კაცი იყო იგი.

ჭეშმარიტად ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალებისა გამო დღეს ჩვენ ყველას გვმართებს მწუხარება, მაგრამ მომეტებულად ჩვენ, მისი საყვარელი ეპარქიის სამღვდელოებას. ჩვენი სამღვდელოება, სამწუხაროთ, ძლიერ ღარიბია მისი მსგავსი პირებით. განსვენებული იყო ჩვენი იმედი, რომლითაც თავი მოგვქონდა. იგი იყო ჩვენი გამკითხავი და წარმადგენელი მთავრობისადმი; როგორცა შემკული მაღალი ჭკუითა და საფუძვლიანი სწავლითა, მას ჰქონდა დიდი გავლენა და რწმუნება არა თუ თავისს სამწყსოში, არამედ მთელს საქართველოში. ჩვენ ყველანი, დიდი და პატარა, მსწავლულნი და უსწავლელნი მას შევცქეროდით, როგორც ნამდვილს მოძღვარსა—წარმომადგენელს სარწმუნოებისას და მასწავლებელს ზნეობისას.

შენიშნულია, ძმანო, ჩვენს ცხოვრებაში, რომ თვითეულს სასულიერო პირს მაშინ შეუძლია სარგებლობის მოტანა თავისი სამწყსოისათვის, მაშინ შეუძლია მტკიცეთ და ღირსეულად დგომა თავის მაღალ მოწოდებაზე, როცა მისი სიტყვა, მოქმედება და მისი ცხოვრება უთანხმდებიან მისს სწავლა-მოძღვრებასა.

განსვენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელი ამ მხრით ჭეშმარიტად შემკული იყო ძვირფასი თვისებითა. მისი ცხოვრება და მოქმედება ცხადად გვარწმუნებდენ, რომელ ის რასაც გვასწავიდა, თვითონ პირადათ მისი მიმდევარი და აღმასრულებელიც იყო. საგნად თვისის სწავლა-მოძღვრებისა მას ჰქონდა აღებული შრომა, პატიოსნება, მოყვასის სიყვარული, ღირსეულად აღსრულება, მოთმინება და უბრალო ცხოვრება, მაგრამ იმავე დროს იგი თვითონ იყო დამცველი და მტკიცეთ აღმასრულებელი ყოველივე ამა თვისებათა; იგი სულგრძელად ითმენდა მრავალგვარ ცილისწამებასა და ბეზღობასა, მაგრამ ამისათვის იგი არა სწუხდა, არამედ ხაროდა და ილოცვიდა თვისთა მაწუხებელთათვის; ყოველივე გვარ შეურაცყოფასა იგი რაცხდა ღვთისაგან მოვლინებულად, ხოლო მისს უბრალო ცხოვრებას არა თუ ჩვენ, არამედ უცხო ქვეყნიდამ მოსრულნი პირნიც კი გაკვირვებაში მოყავდა. ყველამ ვიცით ყოვლად სამღვდელო გაბრიელის იმერეთში სამსახურის დაწყებამდის რა სამწუხარო მდგომარეობაში იყვნენ ეკკლესიები და სამღვდელოება; გარნა დღეს კი მისი პატიოსანი შრომითა და მეცადინეობით ეკკლესიებიც გამშვენებული გვაქვს და სამღვდელოებაც ნივთიერად და გონებითად მაღლა დგას. განსვენებულის ცხოვრებაში და მიმართულებაში ცხადად იხატებოდა განურჩევლად ყოველი გვარისა და ტომისა ხალხისადმი ერთნაირი სიყვარული, თუმცა ზოგიერთა პირნი, სამწუხაროთ, ესრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ იცნობდენ მას; მისთვის ყოველი მართალი, მშრომელი და პატიოსანი ადამიანი, რა ტომის კაციც უნდა ყოფილიყო იგი, მოსაწონისი და საყვარელი იყო.

თუმცა იგი ტანის აგებულობით სუსტი იყო, მაგრამ იმოდენად გულში გამჯდარი ჰქონდა თავისი სამწყსოის სიყვარული და მისი კეთილდღეობა, რომ მაინც არ იშლიდა შრომას; ერთხელაც არსად წასულა საექიმოთ და ჰავის გამოსაცვლელად. მას სიყვარულს სამწყსოისადმი ცხადათ აღნიშნავს ის ფაქტიც, რომელ განსვენებული უკანასკნელ დღეებშიაც კი, როცა ძლიერ მისუსტებული იყო, სამწყსო ახსოვდა და მწუხარებით იტყოდა: «რა ვქნა, მოვხუცდი და რა ეშველება ეპარქიასაო».

ქველი საქმის ჩადენას განსვენებულის მხრით ხომ საზღვარი არა ჰქონდა; იგი იყო თავის სამწყსოში ქვრივთა და ობოლთა ლუკმის მიმაწოდებელი; ესენი მისგან მზგავსად პენსიისა იღებდენ შემწეობასა. მრავალნი ქვრივნი და ობოლნი მინახავს მისი სადგომის წინეშე ცრემლით თვალებ აღვსილნი; მრავალნი მინახავს მისი სადგომიდამ გაბრუნებულნი და თვალებიდამ ცრემლებ ამოწმენდილნი. განსვენებული ღრმათ თანაუგრძნობდა მდაბალ ხალხში სწავლა-განათლების გავრცელებას, ამისათვის იგი მრავალ მოსწავლე ყმაწვილებს ხელს აწოდებდა; მრავალ ყმაწვილებს თავის სახლშივე ინახვიდა, აძლევდა მათ სასწავლებლებში და სწავლის ქირასაც მათ მაგიერ იხდიდა; იგი ისრე სიყვარულით და უბრალოთ ექცეოდა ამ ყმაწვილებს, რომ მათთან სადილობდა და ბაასობდა იმა მიზნით, რომელ მათში გაეღვიძებია ყოველივე კეთილ-შობილური აზრი, დაენერგა მათ ნორჩ გულში სიყვარული სიმდაბლისადმი და თვისი გონიერი ბაასით რაიმე ახალი გარდაეცა მათთვის.

თუმცა ამისთანა ძვირფასი და სასარგებლო მღვდელ-მთავარი დავკარგეთ, თუმცა მას კიდევ მრავალი სიკეთისა და სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენთვის, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია თავი ვინუგეშოთ მით, რომ მან მაინც ბევრი სარგებლობა მოგვიტანა, მაინც დიდი სახელი და ქება დასტოვა.

გარნა ჩვენ, ძმანო, რაი მივაგეთ მას ყოველივე იმისათვის, რაიცა ჩვენ მოგვაგო?—არაფერი; ჩვენ თუმცა ბევრ გზის დავაპირეთ მისი უზომო და პატიოსანი შრომისა რაიმეთი აღნიშვნა, მაგრამ მან მიიღო ეს ჩვენგან, რადგან იმა შთაბეჭდილების მექონე კაცი იყო, რომელ ყოველი ადამიანი უმაღლესად დანიშნულებისამებრ თვისისა მოვალეა შრომობდეს გარეშე ყოველივე ქებადიდებისა საკეთილ-დღეოდ მოყვასთა თვისთა. მაშ ეხლა მაინც რით გარდაუხადოთ მადლობა განსვენებულს ყოველივე იმისათვის, რაიცა მოგვაგო ჩვეე? უძვირფასეს მადლობად მიითვლის ჩვენგან განსვენებული და სასიამოვნო იქნება მისთვის, თუმცა ჩვენ არ გადაუხვევთ მის გონიერ სწავლა-მოძღვრებასა. რითაც ჩვენ მივსცემთ მას შეძლებას, რომელ ღირსეულად წარდგეს საშინელსა ქრისტეს განსჯასა შინა; მისთვის იქმნება სასიამოვნო, თუმცა ჩვენი სიკეთისათვის მის ტანჯულსა თავსა შევავედრებთ უფალსა, რასაც ითხოვდა იგი ჩვენგან სიცოცხლეშიდვე. მაშ შევევედროთ, ძმანო, უფალსა რომელ სახელი ყოვლად სამღვდელო გაბრიელისა ჰყოს ჩვენ შორის დაუვიწყარი, განსვენება მიენიჭოს მას წიაღთა შინა აბრამისა, და მართალთა თანა შერაცხყოს. ამინ».

წესის აგების გამთავეს მოკლე სიტყვა წარმოსთქვა დეკ. დ. ღამბაშიძემ. მოგვყავს ეს სიტყვა აქვე:

«მე რაღა გითხრათ, დაობლებულო იმერეთის ეპარქიის სამწყსოვ? ენა ნებას არ გვაძლევს, რაიმე დალაგებით მოგითხრათ თქვენ იმ პატივცემულ, მქადაგებელს და ძვირფასს მღვდელ-მთავარზე, რომელიც ჩვენ წინ უხმოდ და უსულოდ მდებარებს. ან კი რა საჭიროა მისს ცხოვრებაზე, მის მოღვაწეობაზე და მის სამსახურზე რაიმე გითხრათ? განა თითოეულმა ჩვენგანმა კარგად არ იცის უსიტყვოთაც, თუ ვინ იყო და რა იყო ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი? განა სადმე, მიყრუებულ სოფელშიაც კი, აღმოჩნდება ვინმე გლეხი, რომელმაც დაწვლილებით არ იცოდეს ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ხასიათი, ნაყოფიერი სამსახური, მისი თავდაბალი მოგზაურობა თავისს სამწყსოში სამწყსოსთან სასაუბროდ და სამოძღვროდ? თვითონ განსვენებულსაც ხომ არ უყვარდა, როდესაც მასს დაუწყებდენ ხოლმე ქება-დიდებას. ის ყოველთვის იმ აზრის იყო, რომ კაცის სიკეთეს ენა კი არ უნდა ამბობდეს, არამედ მთლად კაცის ცხოვრება და მისი მოქმედებაო. ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ცხოვრება, მოქმედება და სიტყვანი ცხადად ღაღადებენ უჩვენოთაც, თუ რამდენად სასარგებლო იყო იმერეთის სამწყსოსათვის იგი და როგორი მღვდელ-

მთავარი დაჰკარგა მისმა სამწყსომ, მთელმა საქართველომ და საზოგადოდ იმპერიის მღვდელთ-მთავართა კრებულმა.

ჩვენ აქ გვინდა მსმენელთა ყურადღება მივაქციოთ ერთ გარემოებას განსვენებულის ყოვლად სამღვდელო გაბრიელის ცხოვრებიდან, რომელზედაც, ვგონებ, არავის არა უთქვამს რა. თითქმის ყველა ჩვენგანს წაუკითხავს, გაუგონია და მოუსმენია ძველი დროის ყოვლად საყურადღებო ამბები სამწყსოთათვის ეპისკოპოსების არჩევის შესახებ. მოგეხსენებათ, რომ ძველ დროში საეპისკოპოსო კაცებს სამწყსო ირჩევდა და ასახელებდა. მომხთარა ისეთი შემთხვევები, რომ საზოგადოებისაგან აღრჩეულნი უარს ამბობდენ იმ შიშით, რომ ეპისკოპოსობის მოვალეობა დიდი და მძიმე ტვირთიაო. ისიც მომხდარა, რომ არჩეული კაცი, როდესაც მას უარის გამოცხადებით არ განათავისუფლებდენ, სულ გადაკარგულა. მომხდარა ისეთი მაგალითიც, რომ ღმერთს და განგებას დაუსჯია საზოგადოებისაგან საეპისკოპოსოდ დასახელებული პირნი და შემდეგ ნებას დაჰყოლიან და მიუღიათ ეს მძიმე ტვირთი მღვდელ-მთავრობისა.

სწორეთ ერთი ამ პირთაგანია განსვენებული ყოვლად სამღვდელო გაბრიელი, რომელსაც განგება და მართებლობა მღვდელ-მთავრად იწვევდა და ის კი უარს ამბობდა, ეშინოდა მღვდელთ მთავრის მძიმე ტვირთისა. ჩვენ მიერ ნათქვამის დასამტკიცებლად გადავავლოთ თვალი მათი მეუფების ცხოვრებას. როდესაც მან შვენივრად და წარჩინებული ხარისხით დაასრულა პეტერბურგის სასულიერო აკადემია, ყველას ეგონა, რომ ის ისურვებდა ზერათ წასვლას და მოეშველებოდა თავის ქვეყანას, რომელიც იმ დროს საბრალო მდგომარეობაში იყო. მაგრამ არა, მან უარი განაცხადა და აღირჩია სრულებით სხვა გზა ცხოვრებისა და სხვა სარბიელი სამსახურისა. ბოლოს განგებამ მოაკლო მას ყველა ის, რომლითაც კაცი ნუგეშობს ამ ამაო ქვეყანაზე. მაგრამ მაინც კიდევ უარი ისმის მისგან განგების მოწოდებაზე. რამდენი შრომა, რამდენი ხვეწნა დასჭირდა ნეტარხსენებულს მაშინდელს ჩვენს ექსარხოსს ისიდორეს, ბოლოს პეტერბურგის მიტროპოლიტს, რომ დაეჯერებია და დაეთანხმებია იგი იმერეთის ეპარქიაში ეპისკოპოსად წასვლაზე. განგება ცხადად და აშკარად იწოდებდა განსვენებულს იმერეთის კათედრაზე. ამავე დროს გულკეთილი და მოწყალე ექსარხოსი უმტკიცებდა მას, რომ მხოლოდ მას შეეძლო სასარგებლოდ ემსახურა თავისს ქვეყანაში, რადგან მან იცოდა ხალხის ენა, ზნე, ჩვეულება, მათი ნაკლულევანება და ყველაფერი. აი სწორედ ჭეშმარიტად ბედნიერი დრო ხალხთათვის! განგებაც და მართებლობაც მაშინ ხელს გვიწყობდა. განგების თანახმად მართებლობაც იმას ცდილობდა, რომ ღირსეულად მომზადებული კაცი ყოფილიყო მღვდელ-მთავრად და აი, ძმანო, დღეს თვალით ვხედავთ, თუ რა ნაყოფი მოიტანა ამისთანა კაცის დანიშვნამ და სამსახურმა... ვილოცოთ, ძმანო! შევევედროთ უფალს მხურვალე გულით, რომ განგებამ და მაღალმა მართებლობამ აგვირჩიოს და მოგვივლინოს მწყემსთ-მთავრად ნაცვლად განსვენებულისა მისთანა პირი, რომელსაც შეძლებოდეს მისი მაგიერობა და გაგრძელება განსვენებულის სამსახურისა. ვსასოებ, რომ გულწრფელი ლოცვა შეისმინება ღვთისაგან...

ჩვენმა რედაქციამ მრავალი ადგილებიდამ მიიღო ტელეგრამები, წერილები დ შენიშვნები, რომლებშიაც ერთი და იგივე მწუხარება, გლოვა და ტირილია მოწერილი ყოველი ადგილიდამ, სადაც მიახწია ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსის გაბრიელის განსვენების ამბავმა. სწორეთ გასაოცარია ხალხის ამგვარი ტირილი და გლოვა. არ იფიქროთ, რომ ეს სამწუხარო ტელეგრამები ემსგავსებოდენ სხვა ამისთანა შემთხვევაში სხვა პირთაზედა მწუხარების გამოთქმას. ხშირად მხოლოდ იწერებიან, ვსტირითო, მაგრამ ცრემლს ვერ დაინახავთ მომწერის თვალზე. ჩვენ ისეთი კაცებიც გვინახავს, რომელნიც ამბობდენ, ცრემლი გვდის თვალზე ღელესავითო, მაგრამ მათ თვალზე ჩვენ არ შეგვინიშნავს არა თუ ღელესავით მომდინარე ცრემლი, არც ერთი წვეთი. ყოვლად სამღვდელო გაბრიელის გარდაცვალების გამო კი ნამდვილად ცრემლი იღვრება და ყოველი ქართველი კაცის გული ჰკვნესის.

სამწუხაროდ ადგილის უმექონებლობისა გამო ყველა წერილებს და ტელეგრამებს ვერ ვბეჭდავთ.

ტელეგრამა.

ყვირილაში. დიკ. დავით ღამბაშიძეს. ვერ იღ ინებეთ დ გარდაეცით, ვისდამიცა ჯერ არს, ჩვენი გულითადი მწუხარება ღრმად პატივცემულ მღვდელ-მთავრის გაბრიელის გარდაცვალებისა გამო, რომელიც იყო რუსეთის მართლ-მადიდებელ მღვდელთ-მთავართა შორის შმვენება და სიქადული.

გენერალ ლეიტენანტი მამაცოვი.

დაბა ყვირილა.

(შორაპნის მაზრა).

28 იანვარს წარმოუდგენელს ცუდს ტაროსში, დღით კვირას ხალხი ბლომად არის შეკრებილი ყვირილის ეკლესიაში. წირვის გათავების შემდეგ მოძღვარი გამოვიდა, დადგა ამბიონზე და სთქვა: «ძმანო და დანო! ფრიად თავზარდამცემი ამბავი მოგვიტანა ტელეგრამამ ქუთაისიდამ: ჩვენი საყვარელი, საიმედო და სასახელო მღვდელთ-მთავარი გაბრიელი აღარ გვყავს, ნაშუალამევის მეორე საათზე ღამით 25 იანვრის რიცხვს გარდაცვლილა. ამ სიტყვებზე თვითონ მოძღვარმაც ველარ შეიკავა ტირილი და ხალხმაც მორთო ქვითინი. ცოტა ხნის შემდეგ დაიწყო ისევ მოძღვარმა: ძმებო, ტირილი მღვდლებს გარდაცვალებულთა ზედა აღკრძალული აქვსთ, რადგან ტირილი და გლოვა განსვენებულთათვის მხოლოდ მათ მართებს, რომელთაცა არა აქვსთ სასოება მკვდრეთით აღდგომაზე და მერმის ცხოვრებაზე. ღმერთმან გვიხსნას ჩვენ ამისთანა ტირილისაგან. არა, ჩვენ ვტირით იმიტომ, რომ დავკარგეთ ძვირფასი მღვდელთ-მთავარი. სადღა ვიშოვით ჩვენ იმისთანა ნასწავლ პირს? სადღა ვიშოვით ჩვენ ეპარქიაში ისე უბრალოდ მოსიარულეს ერთი კაცით ხან ცხენზე და ხან ჯორზე მჯდომარეს ჩვენს მთაკლდიან ადგილებში დასამოძღვრად სამწყსოისა და მღვდელ-მოქმედების აღსასრულებლად? სადღა ვიშოვით ჩვენ ისეთ წყნარს და ყველასათვის ადვილად სანახავს მწყემსთ-მთავარს, როგორიც იყო გაბრიელი? სადღა ვიშოვით ჩვენ იმისთანა მღვდელ-მთავარს, რომ ისე თავდადებით და გაბედულად ემსახუროს ერთსა და იმავე ადგილზე, როგორიც იყო იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი? აი, ძმანო ქრისტიანენო, რატომ ვტირით ჩვენ. ჩვენ ვსტირით და ვიგლოვთ ასე გაბრიელს მისთვის, რომ ვაი თუ ის იქნეს პირველი და უკანასკნელი ჩვენთვის გულშემატკივარი მღვდელ-მთავარი... შევევედროთ, ძმანო, ღმერთსა, ჩვენი საყვარელი მღვდელ-მთავრის სულის განსვენებისათვის და ვილოცოთ ღმერთი, რომ მან მოგვივლინოს მის მაგიერ მღვდელ-მთავარი გულშემატკივარი და დამწყვსველი სამწყსოისა თვისისა სახარების სიტყვისამებრ..

დამსწრე.

«მწყემსი»-ს კორრესპონდენცია

(გურიიდამ).

ოთხს თებერვალს ხაჯალიის წმიდის გიორგის ეკლესიაში (გურიაში) ადგილობითი მღვდლის ნიკოლოზ ჯიჯიეიშვილის მიერ გარდახდილ იქმნა პანაშვიდი გასვენებულის იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის სულის მოსახსენებლად და თვითონ მღვდელმა პანაშვიდის წინ წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომელშიაც გამოხატა ის ჰაზრი, რომ კერძოთ იმერეთმა და საერთოთ საქართველომ დაჰკარგა ძვირფასი კაცი მღვდელ-მთავრებს შორის... როდესაც მღვდელი ამას ამბობდა, თვალიდამ ცრემლებს ვერ იმაგრებდა. სიტყვის დაბოლოს ჩვენ ზოგიერთ დამსწრე პირთ მღვდელს ვსთხოვეთ გვირგვინი მიგვერთმია მიცვალებულისათვის, როგორც იციან ხოლმე, მაგრამ მ. ნიკოლოზმა გვიპასუხა: არა, ძმებო, მან თვითონ თავის თავად სიცოცხლეშივე გაიკეთა უხრწნელი გვირგვინი და საჭირო არ არის მისთვის ჩვენი გვირგვინი. ეკლესიაში ყველანი სტიროდენ დიდი და პატარა და არსაიდამ ნუგეში არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლად განსვენებულს ყოვლად სამღვდელო გაბრიელს.

საქვეყნოდ სახელ განთქმულო,
ზენარის მოველინებულო,
თანხმად მაცხოვრის სიტყვისა
სწორ წესზე დაფუძნებულო.
სიტყვა მჭევრ, ენა მახვილო
ხარისხით აღმატებულო,
ქართველთა შვილთა გამწვრთნელად
ამ ქვეყნად დაბადებულო.
ჩვენი სამშობლოს ერისა
შენ სულიერო მამაო,
ყოვლად სამღვდელო გაბრიელ
მტრის უძლეველო ძალაო;
უბნობენ: «მრავალთ მისს თქმულმა
ჩვენ გრძნობა დაგვილამავო,
ჭეშმარიტება გვასწავა,
ცოდვები გაგვიწყალავო.
წმინდათა მამათ მთავრების
ძეგლად დანაშთი მლოცველი,
გვყავდი გულს მადლის ჩამრგველი,
ურწმუნოების მკიცხველი.
სულით და გულით შრომობდი,
კეთილი საქმის დამცველი,
ბევრი არს შენგან სწორ წესზე
მრუდ გრძნობა გამონაცვლელი.
დღეს მოგვევლინა რისხვა ცით:
გიმუხთლა სოფლის ცხოვრებამ
და წაგამგზავრა იმ სოფლად
სალმობის მძლავრმა შექლებამ.
ვერ შეგაჩერა ექიმმა,
ვერც ოქრო-ვერცხლის დიდებამ.
დავშთით ობლები მტირალნი,
გული შეგვიპყრო გოდებამ.
აწ გევედრებით, ნუ შეცვლი
ჩვენს სამშობლოზე გუნებას,
ვიცი, რომ მამა უფალი
იქ მეტს იქს შენზე რწმუნებას,
გვიმოციქულე გვაშოროს:
მრავალგვარ უბედურებას,
ყოვლად მოწყალე შეგვისმენს,
იქს უცვლელ განკარგულებას.
ეგ შეევედრე, რომ ქართველთ
ბევრის შემთხვევით დაცემულთ,
გადამოხედოს მაღლიდგან,
ძველად მტრის განადგურებულთ,
მოგვცეს ის ძალი, რომ მივწვდეთ
. , ...
. . . . . .
ამასთან მოგვცეს შენსებრი
მწყემსი გულ-შემატკივარი,
სამშობლოს შვილი ერთგული,
კეთილ გზის მიმადევარი,
ამ სოფლად თვისი სიტკბოის
არ იყოს მომაწევარი,
არამედ ქვრივ-ობლებისა
მოწყალე, შემაწევარი.

ლუკა გუბელი

ჩემი მოგონებიდან *)

მამა ჩემის შვილებში მე ყველაზე უმცროსი ვიყავი. მე ვიყავი ტყუბის ცალი ყრმა, მაგრამ მეორე დაბადებისათანავე გარდაიცვალა. ძლიერ პატარა ვიყავი, როცა დედა მომიკვდა; მე არც კი მახსოვს იგი. პატარაობისას მე ძლიერ მოუსვენარი და ცელქი ვიყავი და მთელ დღეს ამხანაგებთან ბურთის თამაშში და ჭიდაობაში ვალამებდი. მამა ჩემი ცდილობდა ჩემს მოჭკუიანებას და ამიტომ ერთხელ მამის ბრძანებით მე სვეტზე მიმაკრეს. პირველად ბევრი ვიწვალე, რომ თავი გამენთავისუფლებია, მაგრამ რომ ვერას გავხდი, ისევ გაჩერება ვამჯობინე, და მამას, ვგონებ, კიდეც დავავიწყდი. უეცრად მამა ჩემის ყვირილი და ვაება მომესმა. იგი ხმა მაღლა ყვიროდა: «მიშველეთ, მომეხმარეთ, სვეტზე მიკრული ყმაწვილი კვდება». თურმე ვიღაცამ შესაშინებლად უთხრა მამას, რომ მე ისე ვიყავი მიკოჭვილი სვეტზე, რომ სული ამომდიოდა. მაშინვე გამანთავისუფლეს. მე ვიფიქრე, თუ მამას ასე ვუყვარვარ, მაშ რაღაზე მსჯის-თქო. მამა ძლიერ სასტიკად გვექცეოდა შვილებს. მამა ჩემთან

*) ყოვლად სამღვდელო იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის ხელნაწერებიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაიარებოდენ ბევრი ყმაწვილები და მათ შორის ჩვენი ნათესავებიც, რომელთაც მამა ჩემი ასწავლიდა საეკკლესიო წიგნების კითხვას, წერას, გალობას და საეკკლესიო ტიბიკონს. ამ მოსწავლეთ დიაკვნებს ვეძახდით. სწავლისა და ხარჯისათვის ისინი მამას არაფერს არ აძლევდენ, მხოლოდ ეხმარებოდნენ მუშაობაში, თოხნიდენ ყანებში და ბოსტანში; ღვთის-მსახურების დროს იგინი ტაძარშიაც ეხმარებოდნენ მედავითნის მაგიერ. მამა ჩვენი ისე გვეკიდებოდა შვილებს, თითქო ჩვენი სიყვარული არც კი ჰქონდა. შვილებს იმასვე ასწავლიდა, რასაც პატარა დიაკვნებს, გარდა ამისა შვილებს გვაჭრევინებდა და გვაზიდვინებდა შეშას, გვათოხნიებდა ყანას და ბოსტანს. ჩვენ ყველანი როგორც ბავშვები, ისე ყველა შინაურები დიდის ერთგულებით დავიარებოდით ტაძარში ღვთის-მსახურების მოსასმენად. ხშირად, როცა ღამისთევითი ცისკარი დიდხანს გაგრძელდებოდა, მე სადმე ყურეში, ეკკლესიის კედლის მახლობლად ტკბილად მიმეძინებოდა ნოტიო მიწაზე და ლოცვის გათავებამდე მეძინა ხოლმე. მამა ჩემმა იცოდა ეს ჩემი სისუსტე და როგორც კი ლოცვას გაათავებდა, მაშინვე მომიკითხავდა, რომ დაკეტილ ეკკლესიაში არ დავრჩენილიყავი მძინარე.

მამა ჩემი გურიის უკანასკნელი მფლობელის თავად მამია გურიელის მოძღვარი იყო და ამიტომ იგი ხშირად დიდი ხნობით სტოვებდა ოჯახს და ქ. ოზურგეთში დადიოდა, რომ ხსენებული თავადისათვის შეესრულებია როგორც წირვა-ლოცვა ისე სხვა საჭირო სამღრთო წესები. მე პირველად ოზურგეთში დავინახე რუსის სალდათები. ეს სალდათები როგორც მე ისე ოზურგეთის პატარა ყმაწვილებს ძლიერ შეგვიყვარდენ, რადგან ისინი გვეფერებოდენ და შავ პურსაც გვაძლევდენ, გარდა ამისა სალდათების ცხოვრება ტანთ-საცმელი, თამაში და ბარაბანის დაკვრა ძლიერ მოგვწონდა პატარებს. მაგრამ ერთმა-ორმა შემთხვევამ კი ძლიერ დაგვაფრთხო ყმაწვილები. ერთხელ რამდენიმე სალდათმა გამოიყვანეს ერთი თავისი ამხანაგი, დაუყენეს თავიანთი საცხოვრებელი ბინის მოშორებით, მათ თავზე ადგა ერთი აფიცერი. ამ სალდათმა გაიძრო ზედა ტანთ-საცმელი და ისე დადგა, თითქო ჩასობილია მიწაშიო. მას მიუახლოვდა მეორე სალდათი, რომელსაც ხელში ეჭირა მოგრძო და მსხვილი წკნელი და, როგორც შეეძლო, ამ წკნელით დაუწყო ცემა იმ სალდათს უკანალზე. საბრალო სალდათი მთელი ტანით კრთოდა, პირისახე და ტუჩები ჩალურჯებოდა, მაგრამ თვალებიდამ ერთი ცრემლიც არ ვარდებოდა, მხოლოდ საბრალოს ხმით ჩუმათ იმეორებდა: «მაპატიეთ, თქვენო კეთილშობილებავ.» როცა ცემა გაათავეს, დასჯილი სალდათი გასწორდა, ტანთ-საცმელი ჩაიცვა და წყნარად გასწია ბინისაკენ. პატარებმა არ ვიცოდით ამ სასტიკი დასჯის მიზეზი და ამიტომ ძლიერ შეგვაშინა ამ სანახაობამ.

ოზურგეთის ეკკლესიაში წირვა-ლოცვის დროს ერთი უფროსი სალდათი, ალბად, ფელთებელი, ეხმარებოდა მამაჩემს. მამა ჩემი, რომელმაც ერთი სიტყვაც არ იცოდა რუსულად, ქართულად წირავდა-და ლოცვილობდა, სალდათი კი კითხულობდა და გალობდა სლავიანურად. მე ვაკვირდებოდი სლავიანურ კითხვას, გალობას და რუსულ ლაპარაკს და, ცოტა არ იყოს, მეც მივეჩვიე ამ ენაზე ლაპარაკს. მამა ჩემის თხოვნით ამ სალდათმა დამაწყებია სლავიანური ასოების კითხვა; მასწავლიდა გალობას, წერას და უმთავრეს ლოცვებს. ეს სალდათი სწავლების დროს ძალას არ მატანდა და არც მსჯიდა. მხოლოდ ძაფით მიმაბამდა ხოლმე იმ სტოლზე, რომელზედაც ვმეცადინობდი და მეტყოდა: «სანამ მოცემული გაკვეთილი არ დაისწავლო, ადგილიდამ არ ადგე.“ მაგრამ მე ხშირად გავწყვეტდი ხოლმე ძაფს და ამ დამნაშაობისათვის ის სრულებითაც არა მსჯიდა.

ჩემს სიცოცხლეში ერთ წირვაზე პირველად წავიკითხე სამოციქულო სლავიანურად. ამ დღეს მრავალი ადგილობითი ხალხი და სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურე პირნი იყვნენ ტაძარში. წირვის გათავების შემდეგ დამიძახა ერთმა უფროსმა აფიცერმა, ალბად პოლკოვნიკმა ანუ მაიორმა, მომეფერა და ორი აბაზი მაჩუქა. ამ შემთხვევამ ერთგვარად გაგვახარა როგორც მე ისე ჩემი მამა და მასწავლებელი სალდათი. მამას ბევრი კეთილი მეგობრები ჰყავდა, რომელთა შორის მე ეხლაც კარგად მახსოვს თავადი ერისთვები, თავადი სიმონ აბაშიძე და ივანოები, რომელიც დიდის პატივისცემით იღებდა ხოლმე მამაჩემს. ივანოვის მეუღლემ, ქავთარაძის ასულმა, ერთხელ აღდგომის დღეს, წირვის შემდეგ, მიიპატიჟა მამა ჩემი და ძლიერ პატივიგვცა. მათ ოჯახში მე პირველად ვიგემე ჩაი, პასქა და კულიჩები, რომლებითაც გაგვიმასპინძლდენ. მე ვფიქრობ, რომ ამ ნაცნობების რჩევით ან იმიტომ, რომ მე ცოტაო-

დენი ლაპარაკი და წერაც ვიცოდი რუსულად, მამა ჩემი ყველა შვილებითურთ გაეშურა თბილისისკენ მაშინდელ ეგზარხოს ევგენისთან თხოვნით, რომ მისი შვილები მიეღოთ სასულიერო სასწავლებელში საეკკლესიო ხარჯით, ვინაიდგან იმ დროში არც ერთი სასწავლებელი არ იყო, სადაც შეუძლო კაცის შვილებს შეძლებოდა ცოტაოდენი სწავლის მიღება. მათმა მეუფებამ მთარგმნელის საშუალებით ყურადღებით მოისმინა მამა ჩემის თხოვნა, გამოკითხა მას, თუ რასი შემძლებელი იყო იგი, შემდეგ ყველანი გამოგვცადა და მიგვაღებინა სასწავლებელში: ერთი ჩვენგანი მიიღეს ბურსაში საეკკლესიო ხარჯზე, მეორე თავისი ხარჯით აიყვანა სემინარიის რექტორმა, რომელიც მეტისმეტი კეთილი გულის კაცი იყო, მესამეც ვილაცამ აიყვანა, მაგრამ იგი მალე გარდაიცვალა, თუმცა ძლიერ ჯანმრთელი იყო, მაგრამ ვერ აიტანა თბილისის ჰავა და სასმელ-საჭმელი; ჩვენი მეოთხე ძმა თუმცა დიდი იყო, მაგრამ მაინც მიიღეს პირველ კლასში, სადაც ცოტა ხანს მოათია. ამ კლასში იმაზე დიდებიც ბევრი იყო. როგორც კი ცოტა ოდენი რუსული წერა-კითხვა ისწავლა და რუსულ-სლავიანური ანბანიც ხელთ იგდო, მან მაშინვე სოფლისკენ მოუსვა, რადგან სახლში მას იზიდავდა ოჯახის სიყვარული, ვინაიდგან ცოლიანი იყო. მაგრამ ეს ამბავი როგორც ჩვენ ისე ჩვენ ახალ ამხანაგებს დაფარული გვქონდა და არავისათვის არ გაგვიმხელია.

იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება ქუთაისში.

(გაგრძელება *)

დიდი ბაასი გამოიწვია კრებაზე დეკანოზის დ. ღამბაშიძის რაპორტმა, რომელიც მღვდელმთავრის სახელზე იყო მირთმეული, ხოლო მათი მეუფებისაგან ეს რაპორტი გადმოეცა სამღვდელოების კრებას განსახილველად. აი ამ რაპორტის შინაარსი მიახლოებით: «სასულიერო სასწავლებლების უკანასკნელი დროის წესდებულება და წეს-წყობილება, ამბობს დეკ. ღამბაშიძე, სხვათაშორის მით განირჩევა ამისთანავე ძველ წესდებულებათა და წეს-წყობილებათაგან, რომ სასულიერო სასწავლებლების რჩენა-მდგომარეობაზე თვითონ სამღვდელოება ზრუნავს და ნახულობს სხვა-და-სხვა წყაროებს ამ სასწავლებლების შესანახავად. ამისთვის ამ სასწავლებლების შესანახავი ხარჯი არავის არ შეუძლია სამღვდელოების დაუკითხავად გასწეროს მღვდლებზე. მაგრამ სასულიერო სასწავლებლების წესდებულებათა ეს მშვენიერი აზრი ჯერეთ კიდევ ვერ გაუგიათ ზოგიერთებს, რომელნიც აღმაცერად უცქერიან სამღვდელოების კრებას და ამ კრებათა დადგენილობას და მსჯელობას. ზოგიერთებს საზოგადოების რჩევა-გამგეობა და მსჯელობა საქმის საზარალოდ მიაჩნიათ საზოგადო საქმეში და ყველაფერი ბრძანებაზე უნდათ დაამყარონ, ვითომდა საზოგადოების საკეთილ-დღეოდ. თავიანთი შემცდარი აზრის დასამტკიცებლად ეს ვაჟ-ბატონები უთითებენ ზოგიერთ სამღვდელო კრებათა უმართებულო დადგენილობაზე, მაგრამ ივიწყებენ, რომ ერთი-ორი შეცდომით საზოგადო დასკვნის გამოყვანა არ შეიძლება...

1891 წელს სამღვდელოების ერთ კრებაზე დეპუტატებმა დაადგინეს გახსნან საქალებო სასწავლებელი, რომლის შესანახავად გაიწერეს ყოველ წლობით რვა ათასი მანეთი; ამავე კრებაზე დადგენილ იქმნა შეკრებილიყო 50,000 მანეთი ხელუხლებელ თანხად, რომელი თანხის სარგებელი უნდა მიქცეულიყო ხსენებული სასწავლებლის შესანახავად. 50,000 ხელუხლებელი თანხა უნდა შეკრებილიყო შემდეგის სახით: თითოეულს კრებულს მღვდელს და მედავითნეს უნდა შეეტანა ყოველ წლობით ათი წლის განმავლობაში თითო თუმანი. ამ ანგარიშით ათი წლის განმავლობაში უნდა შეკრებილიყო 45,000 მანეთი და მეტიც. 5000 მანეთი შემოიტანა ხსენებული სასწავლებლის სასარგებლოდ ყოვლად სამღვდელო გაბრიელმა. ასე დადგინდა ჟურნალი და საქმეც ასე დაბოლოვდა.

მაგრამ იმერეთის ეპარქიალური საქალებო გაბრიელის სასწავლებლის გამგეობას სასარგებლოდ დაუნახავს სამღვდელოების კრების

(*) იხ. „მწყემსი“ № 22 1895 წ.

დადგენილობის შეცვლა და სამუდამო გარდასახადის გაწერა სამდვდელოებაზე. მდვდელმთავარიც დაუთანხმებიათ და დაუდგენიათ, რომ თითო თუმანი გადაბდოდა ყოველ მდვდელს, შტატშია იგი, თუ არა მაინც და ან ვინც მერვე, ან მეცხრე წლის შემდეგ განწესდებოდა ეკლესიაზე შტატის მდვდლის მეორე ადგილზე გადაყვანის ანუ გადაცვლების შემდეგ, რომელიც რვა წელიწადი უკვე იხდიდა სასწავლებლის სამუდამო თანხის შესადგენათ თითო თუმანს წლიურად, იმ ახლად განწესებული მდვდელმაც ათი წლის განმავლობაში უნდა იხადოს თითო თუმანი. ამ სახით ეს გადასახადი დაუსრულებლად იქნება გაწერილი სამდვდელოებაზე. გამგეობის ამ გვარი განკარგულება ცირკულიარული მიწერილობით გამოგვეცხადა ყველას. ჩემდა სამწუხაროთ, უნდა განვაცხადოთ, რომ ამ ნაირი დადგენილობა ეწინააღმდეგება სინოდის დადგენილობათა და იმ წეს-წყობილებათა, რომელიც არსებობენ სასულიერო სასწავლებლების და სამდვდელოების კრებათა შესახებ. მართალია, სასწავლებლების სამმართველონი და ჩვენები ცდილობენ, რომ, რაც შეიძლება, სამდვდელოებას ბევრი გადასახადი დაადვან სასწავლებლების საკეთილ-დღეოდ, მაგრამ ამავე დროს მათ არ უნდა დაივიწყონ ჩვენი სამდვდელოების გაჭირვებული მდგომარეობა ნივთიერად. ყველამ წინდაწინვე უნდა იცოდეს, თუ რა საჭიროებისთვის ხდებათ მათ გადასახადი. სასულიერო სასწავლებლები უმეტესად სამდვდელოებას ეკუთვნიან და ამავე სამდვდელოებამ უსათუოდ უნდა იცოდეს ყოველი გადასახადის საჭიროება.

ამ მოსაზრებათა გამო ეს სამუდამო გადასახადი, სამდვდელოებაზე გაწერილი მთდა შეუტყობლად ორი სამი პირის უსაფუძვლო და უმართლო სურვილით, მე მიმაჩნია უკანონოდ და ამისათვის მოვახსენებ რა ყოველივე ამას თქვენს მეუფებას, უმორჩილესად გთხოვთ, კეთილინებოთ და გარდაცეთ ეს კითხვა განსახილველად სამდვდელოების კრებას, რომელიც უნდა მოხდეს ნოემბრის 28, 29 და 30 რიცხვებში, ამ რაპორტზე შემდეგი რეზოლიუციაა ყოველად სამდვდელოსაგან დადებული: „20 ნოემბერს 1895 წ. გარდაეცეს სამდვდელოების კრებას განსახილველად.“

სამდვდელოების კრებამ ამ რაპორტის განხილვის დროს მოითხოვა სამდვდელოების წინა წლების კრებათა ქურნალები, რომელნიც შეეხებოდენ ხსენებული საქალებო სასწავლებლის დაარსების და შენახვის საქმეს და ადმოჩდა ყოველივე ის, რაც რაპორტში იყო მოხსენებული. სამდვდელოებამ კრებამ დაადგინა: განთავისუფლებულ იქმნენ ათი მანეთის გადასახადისაგან ისეთი მდვდლები, რომელნიც მედავითნის და მთავარ-დიაკვნების ადგილზე მსახურებენ, ხოლო გადახდეს ეს ფული კრებულს მდვდელს და მედავითნეს ათი წლის განმავლობაში და ათი წლის შემდეგ კი მოისპოს ეს გადასახადი, როგორც სამდვდელოების კრების უწინდელს დადგენილობაშიაც არის ეს მოხსენებული, რადგან ათი წლის შემდეგ დდიდგან დადგენილობისა 50,000 მანეთი უკვე შეკრებილი იქნება. ამ სახით წინანდელი ქურნალი ძალაში დარჩა და უკანონოდ გაწერილი ბეგარა მოისპო.

ზოგიერთმა დეპუტატებმა ჰკითხეს თავმჯდომარეს დეკ. დ. დამბაშიძეს, თუ რა ჭქნა მან სამდვდელოების წინა კრების მინდობილობის. გამო, რომ ერის კაცის შვილებისაგან მათი სწავლის უფლებისათვის შემოსული ფული მარტო სასწავლებლის საჭიროებას მოხმარებოდა.

თავმჯდომარე. მე თანახმად კრებისგან დადგენილი ქურნალისა და თქვენი მონდობილებისა ამა წლის ივლისის თვეში თხოვნა შევიტანე უწმიდეს სინოდში.

დეპუტატი მ. ა. ფოფხაძე. მე „საეკლესიო უწყებებში“ წავიკითხე, რომ ეგ თხოვნა სინოდს უყურადღებოდ დაუტოვებია.

თავმჯდომარე. რომელ ნომერში წაიკითხეთ?

დეპ. მ. ფოფხაძე. მე ნომერი ალარ მახსოვს, მაგრამ იმ ნომერში იწერებოდენ, რომ მდვდლები თხოვნით სინოდში ნუ შემოდიანო, თორემ მათი თხოვნები უყურადღებოდ იქნებიან დატოვებული.

თავსმდგომარე. გაგიგონიათ და რადაცა გიდეც წაგიკითხავსთ, მაგრამ, სამწუხაროდ აზრი ვერ გამოგიტანიათ. ძალიერ ცუდია, როცა კაცი წაკითხულის აზრს ნამდვილ ვერ გაიგებს და შემცდარს აზრს ავრცელებს რომელიმე საგნის შესახებ. ეს, რაც თქვენ წაგიკითხავთ, სხვა საგანს შეეხება და არა ჩემგან შეტანილს თხოვნას.

აქვე საჭიროდ მიგვაჩნია ვაცნობოთ მკითხველებს, რომ დეკ. დამბაშიძისაგან შეტანილი თხოვნისა გამო უკვე მოვიდა მოწერილობა, რომელის ძალით სასულიერო ოთხ-კლასიან სასწავლებლების სამმართველოებს ეთხოვებათ აცნობონ სინოდს, თუ ათი წლის განმავლობაში ე. ი. 1885 წ. 1895 წლამდე რამოდენი ფული შემოვიდა სასწავლებელში ერის კაცის შვილებისაგან და რაზე იქმნა დახარჯული ეს ფულები.

უფალს მეთვალყურეს

პასუხი.

წარსული 1895 წლის „მწყემსი"-ს მე-21 №-ში მოთავსებულია თქვენი პასუხი, რომლითაც თქვენ უმტკიცებთ საზოგადოებას, რომ ჩემი წერილი, „მწყემსი"-ის მე-9 №-ში მოთავსებული, სიმართლეს არის მოკლებული. ამ თქვენმა პასუხმა იძულებული გამხადა პასუხი მოგცეთ თქვენს წერილზე, რომ ამით ცხადათ დაინახოს მკითხველმა საზოგადოებამ, თუ ვისი წერილია სიმართლეს მოკლებული.

თქვენ ბოძანებთ: „სალხინოს საზოგადოებაში ჯერეთ არც ერთი სკოლა არ-არის გახსნილი" თუ მართლა მეთვალყურე ბძანდებით, როგორ ვერ ნახეთ და ვერ შეიტყვეთ, რომ სალხინოს საზოგადოებაში არა თუ ერთა, ხუთი-ექვსი წელიწადია, ხუთი სკოლა არის გახსნილი და ამ სკოლებისათვის აშენებულია საკუთარი სახლები. ეს სკოლები არის გახსნილი კურზუმში, ნაფიჩხოვო-გოდოგანში, ეწერში, თამოიონოო-ქანოთაში და სალხინოში. ამ ნამდვილს და აღსრულებულს საქმეს შეადარეთ შემდეგი თქვენი პასუხი: „ერთ საზოგადოებაში რომ ერთი სკოლის ადგილზე ხუთი გახსნილიყოს და ათასი მანეთი მასწავლებელს დანიშნოდეს, ამისთანა მაგალითი არა თუ სალხინოში არამედ მთელს სამეგრელოში არ ყოფილა ჯერეთ". თუ რომ ნამდვილ მოხსენებული ხუთი სკოლა არსებობს და მათში სწავლის საქმე სასურველად მიდის, მაშინ როგორი თვალით უნდა შეეხედოთ თქვენს პასუხს? აქედან ცხადია, რომ თქვენ გამჩნევეთ სიმძულვარე დეკანოზ ბერიძისადმი, მაგრამ ამ შემთხვევაში უმეტეს თქვენ უნდა გძულდეთ გურიამენგრელიის ეპისკოპოსი, რომლის წინადადებით დეკანოზმა ბერიძემ დაარსა ეს სკოლები. რომ სალხინოს საზოგადოებაში ხუთი სამრეველო სკოლა არის, და საზოგადოდ დეკ. ბერიძის საბალღოჩინოში სწავლის საქმე სამრეველო სკოლებში სასიამოვნოდ მიდის, ამას დაგიმტკიცებსთ თქვენ ეპარქიალური სამოსწავლებლო რჩევის საბუთები და მადლობა სასულიერო მთავრობის მხრით გამოცხადებული, ხსენებული სკოლების მასწავლებლებისადმი. სხვა დასამტკიცებელ საბუთთა შორის მოგახსენებ, რომ ზემო აღნიშნულის მოღვაწეობისათვის ბლაღოჩინი დეკ. ბერიძე დაჯილდოდეს უწმიდესი სინოდის მადლობით და ნიშნად მადლობისა მიიღო წიგნი „დაბადება". რა გასაკვირია, რომ თითო მრევლმა, როგორც (მოახდინა სალხინოს საზოგადოებამ) თავისს ეკლესიასთან სამრეველო სკოლა გახსნას და თავისს სახლში შეილი გამოზარდოს. რომ სალხინოს საზოგადოებაში გახსნილია ხუთი სამრეველო სკოლა ამას დამტკიცებენ ეპარქიალური რჩეის წევრნი. ბბ. მიქაძე, ე. ელიავა, ს. ძიმისტარიშვილი და ს. მატარაძე, რომელთაც იმ სკოლებს რევიზია უქნეს. შეძლება სინდიმამ ნება მოგცესთ და ისიც უარ ჰყოთ, რომ მოუთხოვნელად მთავრობისა სალხინოს საზოგადოებამ ამ საზოგადოებაში გასახსნელს ორ-კლასიან სამრეველო სკოლას შესწირა ორი ათასი მანეთი, ხუთი ქცევა მიწა და სახლის ასაშენებელი მასალა უსასყიდლოდ, ამის ოქმი წარდგენილია უწმიდესს სინოდში. რას იტყვით ამაზე? თქვენი სათქმელი ის არის, რომ თქვენისთანა მეთვალ-ყურემ თვალზე დ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურზე ხელი დაიფაროს და სთქვას: ხედვით ვხედავ და ვერ ვხილე, სმენით მესმოდა და ვერ გულის ხმა ვყავ.

ბძანებთ: «ბლაღოჩინს, მართალია, იმ დროებით ჰქონდა საზოგადოების კრება, მაგრამ საზოგადოებამ ერთ ხმად უარი განაცხადა სკოლის გახსნის შესახებ.» ვერ გაგიგიათ, მეთვალყურევ, საქმე რაში იყო. თქვენ მხოლოდ დაგინახავთ თვალით, რომ საზოგადოების კრება მოხდა, მაგრამ საზოგადოებამ რაზე სთქვა უარი, ეგ კი ვერ გაგიგონიათ. უარი სთქვეს სამინისტრო სკოლის გახსნაზე, რომელზედაც სამოქალაქო მთავრობა იძულებას აყენებდა ხალხს და ეს ჰაზრიც პოლიციის ბოქაულის მაგიერ მამასახლისმა გადასცა ხალხს და ის უარიც აი რით დაასაბუთა საზოგადოებამ: «სამინისტრო სკოლაში ქართულს ენას სრულიად არ ასწავლიან. ორი, სამი სიტყვა რუსული ჩვენს შვილებს არაფრად გამოადგა და მეორედ ერთი სამინისტრო სკოლა მთელს სალხინოს საზოგადოებას, რომელიც ათი თუთხმეტი ვერსის მანძილზეა დაშორებული, ვერ დააკმაყოფილებს ამ მხრით მცხოვრებთა სურვილს და მოთხოვნილებას და ამისათვის სამინისტრო სკოლის გახსნისათვის უარი განაცხადეს; ხოლო სამრევლო სკოლებისათვის წლიურად ხაზინაში ათასი მანეთის შეტანის სურვილი და თანხმობა გამოაცხადეს და იმავე დღეს შემდგარი ოქმი ეწერის სკოლის შესახებ სამოსწავლებლო რჩევამ უკვე გარდასცა მაზრის უფროსს ასასრულებლად და კიდეც სრულდება.

ამ გარდაწყვეტილებას მოუსწრო ყოვლად მოწყალე ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზ II-ის მოწყალებამ, რომ სამრევლო სკოლებს სახელმწიფო ხაზინიდამ უნდა მიეცეს შემწეობაო, მაშ საზოგადოება ამ გარდასახადიდამ თავისუფალია და ამის სამაგიეროდ ბლაღოჩინი დეკ. ბერიძის წინადადებით საზოგადოებამ წარსულ აგვისტოს თვეში გადაიხადა სამადლობელი პარაკლისი ხელმწიფე იმპერატორის და სამეფო სახლეულობის სადღეგრძელოდ და ბოლოს ამ საზოგადოებამ დაადგინა ოქმი ხუთივე ზემოხსენებულ სკოლებისათვის ააშენოს სამოსწავლებლო რჩევის მიერ მიცემული გეგმისამებრ შენობები და მისცენ საკმაო მიწა, რამდენიც საჭირო იქნება, და როგორც ეს ოქმები ისთე სხვები წარდგენილ იქმნენ სამასწავლებლო რჩევაში. (ნახე სპრავკა იქვე).

ბრძანებთ; ,,ძიმისტარიშვილი დაჰპირდა საზოგადოებას,'' რომ იგი მუქთად გამოუგზავნის მასწავლებელს სასწავლო ნივთებს და ზოგიერთ ავეჯებს». ეს მართალია. ბ. ძიმისტარაშვილი რევიზიის დროს პირდება არა მასწავლებლებს, არამედ მოსწავლეთა და მათ მშობლებთ, იმას რაც ზემოთ ნათქვამია, და კიდეც ყოველწლიწადს სამოსწავლებლო რჩევა უგზავნის ამ სკოლებს სასწავლო ნივთებს. (ნახე სპრავკა სამოსწავლებლო რჩევაში).

გასაკვირველი არ არის, რომ პრინცესა მიურატისამ, როგორც მენგრელიის მთავრის ასულმან, ნივთიერად შეძლებულმა, შემწეობა-აღმოუჩინოს თავისს სამშობლო ქვეყნის შვილებს სწავლა-განათლების საქმეში, მაგრამ თქვენ რომ ამბობთ, ვითომც 1889 წელს პრინცესას, თანახმად თხოვნისა სამოსწავლებლო რჩევის ძიმისტარაშვილისა, ბლაღოჩინი ბერიძისა და მღვდლის ივანე ხუხუნისა, ებოძებინოს მიწა სკოლის დასადგმელად სოფელ სალხინოში, ეს კი ჭეშმარიტებას არის მოკლებული. თუ გნებავდათ, რომ პრინცესა ბრძანებულიყო თქვენს პასუხში მადლობით მოხსენებული, სიმართლე მაინც გეთქვათ. პრინცესამ შესწირა ეწერის სამრევლო სკოლას დასადგმელი მიწა, ეწერშივე ეკკლესიის გვერდით, როდესაც ყოვლად სამღვდელო გურია-მენგრელიის ეპისკოპოსმა გრიგოლმა აკურთხა ეწერის ახლად აღშენებული ქვის ეკკლესია 1890 წელს. ეს არის ნამდვილი და არა თქვენგან თქმული.

უკანასკნელ ნება მიბოძეთ გკითხოთ: შემდეგ ამ ფაქტებისა რა მიმართულების მექონე უნდა იყოს თქვენი პასუხი ჩემი კორესპონდენციის შესახებ? თუ თქვენ თავგამოდებით გიჭირავს თვალ-ყური სასწავლებელზე, რომ ადგილს არ მისცემთ მისთვის არავითარს უმართლოებას, მაშინ ასე დიდ შეცდომაში რად ვარდებით? მე იძულებული ვარ ვიფიქრო, რომ თქვენ რაც დასწერეთ, ამის მიზეზი იყო თქვენის მხრით შურის ძიება. მაგრამ მეთვალყურეს არ შეშვენის ვისმეს პატივისცემისათვის ტყუილი დასწეროს, ვინაიდგან მეთვალყურე არის მცველი სიმართლისა და არა მიმყოლი კერძო სურვილისა. შეიძლება, რომ თქვენ თქვენის პასუხით დააკმაყოფილეთ თქვენი ხარბი თვალი, მაგრამ რატომ თქვენც არ მიიღეთ მონაწილეობა ამ კეთილ საქმეში?

მღვდელი დიმიტრი ბერულავა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოსიკო ქეჯხუაშვილი.

(ნამდვილი შემოწვევა 1892 წელსა ხოლერობის დროს)

(გაგრძელება *)

IV

სლამოს ქამსა სახლის წინ
ზის დედა მოხუცებული,
გზისაკენ გაიკქირება
ცრემლით თვალდასველებული.
— „ეიმე, შვილო, სოსიკო,“
— თანაც ბუტბუტებს ამასა,—
«თუ მკედარიც დაეკარგე შენს
მოხუცებულს დედასა?!
ეგებ ხოლერით ავად ხარ,
და არაენ გაყვეს მომკელელი,
თუ მოჰკედი, უმღვდლოდ დაგმარხენენ,
ვერ დაგიტირებს მშობელი,
ს

საერო განათლების მინისტრმა მოახდინა შემდეგი განკარგულება, რომელიც ჩვენს მხარესაც შეეხება:

,,რათა უფრო ღრმად ჩარჩეთ ხსოვნაში მოსწავლე ბავშვებს, ახალგაზრდებსა და მოსწავლე ქალებს მთელის რუსეთისათვის სასიხარულო ამბავი, მათის იმპერატორებითის უდიდებულესობის დაგვირგვინება, ნება დართულია ამ წელს კლასსიდამ კლასში გადაყვანა მთელის იმპერიის სავაჟო და საქალებო საშუალო სასწავლებლებში წლიურ ნიშნების მიხედვით მოხდეს და არა წლიურს გამოცდით; გამოსცდიან ორთვეობის შემდეგ მხოლოდ იმ მოწაფეთ, რომელნიც უფრო სუსტად იყვნენ ცნობილნი და საკმაოდ კარგი ნიშნები არა ჰქონდათ სამოსწავლო წლის განმავლობაში. ამ რიგად სწავლა ყველა სასწავლებლებში, გარდა სწავლის დამთავრების ეგზამენებისა, დასრულდება თვითეულის სასწავლებლისათვის იმ ვადაზე, რომელიც საკლასსო მეცადინეობისათვის არის დანიშნული. რადგანაც ეს ვადა თითქმის იმ დღესა ჰხვდება, რომელიც წმ. დაგვირგვინებისათვის არის დანიშნული, ამიტომ მეცადინეობა ყველგან (გარდა სწავლის დამთავრების ეგზამენებისა) 11 მაისს დასრულდება.

,,ხოლო სწავლის დამთავრების ეგზამენები უმაღლესსა, საშუალოსა და დაბალს სასწავლებლებში (იმათ შორის მოსკოვის სასწავლებლებშიაც, გარეშე ქალაქისა) მოხდება დადგენილს ვადაზე, მხოლოდ მოწაფენი განთავისუფლებულ იქმნებიან სამის დღით, როგორც 1883 წელს.

ამ მიმდინარე 1896 წელს კანიკულები 1-ლ სექტემბრამდე განგრძობა.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებაზე და კეთილზნეობაზე.

მარხვა.

1) მარხვა დაგვიწესა ღმერთმა ჯერეთ სამოთხეშივე: «ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და რქვა: ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით სჭამოთ, ხოლო ხისაგან ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა სჭამოთ მისგან; რომელსა დღესა უკვე სჭამოთ მისგან, სიკვდილითა მოკვდეთ» (დაბ. 2, 16, 17). ესევე რამდენჯერმე გვამცნო უფალმა შემდეგაც: წინასწარმეტყველის იოველის პირით იტყვის ღმერთი: მოიქეცით ჩემდა ყოვლითა თქვენითა ,,მარხვისა მიერ‘‘ და ტირილისა (2, 12) და ტოვიტის წიგნში: «კეთილ არს ლოცვა გულითა ,,მარხვითურთ‘‘ და ქველის საქმით უფლისა» (2, 8); წინასწარმეტყველი დავით სწერს: «შევიმოსე ძაძა და დავიმდაბლე მარხვითა სული ჩემი» (ფს. 34, 13), «მუხლნი ჩემნი მოუძლურდეს ,,მარხვისაგან‘‘ და ხორცნი ჩემნი იცვალნეს ზეთისა მიერ (ფს. 18, 23).

ძველი აღთქმის მართალნი თითონაც მტკიცედ ასრულებდენ ღვთის ამ ბრძანებას: მოსემ სინაის მთაზე ორმოცი ღამე გაატარა მარხულობაში, „პური არა ჭამა და წყალი არა სვა‘‘ (კამ. 34, 28); მარხულობდნენ წინასწარმეტყველნი ილია (მეფ. 19, 8), ეზდრა (2 ეზ. 8, 40—50), ნეემია (1, 14). წინასწარმეტყველი დანიელ (10, 2; 3). ისრაილნი რამდენჯერმე (მსაჯ. 20, 26; 1 მეფ. 7, 6, 31. 13; ივდ. 4, 6—13; ესთ. 4; 16; იერ. 3, 4, 9) და წარმართნი ნინევიელნი (Iონა 3, 5). აი მრავალი მაგალითი მარხვისა ძველ აღთქმაშივე. ნუ თუ ჩვენ, ქრისტიანები, უნდა ჩამოვრჩეთ ძველ აღთქმის ხალხთ ამ კეთილ საქმეში? არა, და მით უფრო, რომ ძველ აღთქმაში ეს ყველა დაიწერა და მოხდა «სამოძღვრებლად ჩვენდა, რომელთა ზედა აღსასრული ჟამთა მოიწია» (1 კორ. 10, 11).

მართალია, ქრისტე უფალმა განგვათავისუფლა ძველის აღთქმის წესდებათა ტვირთისაგან, მაგრამ მარხვა ისევ დაგვიტოვა და ეს გვიჩვენა ჯერ თავის მაგალითით, როდესაც ორმოცი დღე იმარხულა, და მერე თავისი ქადაგებით. იესომ მოგვცა დარიგება მარხვის შესახებ: «რა ჟამს იმარხვიდეთ, ნუ იყოფით, ვითარცა იგი ორგულნი, მწუხარე, რამეთუ განირყვნიან პირნი მათნი, რათა ეჩვენნეს კაცთა მმარხველად; ამინ გეტყვით თქვენ: მიუღებიეს სასყიდელი მათი; ხოლო შენ რაჟამს იმარხვიდე, იცხე თავი შენი და დაიბანე პირი შენი, რათა არა ეჩვენო კაცთა მმარხველად, არამედ მამასა შენსა დაფარულად და მამამან შენმან, რომელი ხედავს დაფარულთა, მოგაგოს შენ ცხადად» (მათ. 6, 16, 18) და გვიჩვენა ძალი მარხვისა, როდესაც ამცნო, რომ ეშმაკნი განიდევნებიან მარხვით და ლოცვით (სარ. 9, 29). ისო ქრისტეს მოციქულებმაც განმარტეს თავიანთ მოძღვრის სწავლა მარხვაზედ; «წა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუდგინენით, იტყვის მოციქული პავლე, თავნი თქვენი ვითარცა, ღვთის მსახურთა, მოთმინებითა მრავლითა ჭირთა შინა და ურვათა, იწროებათა შინა და ტანჯვათა, მპყრობილებათა და შფოთთა და მღვიძარებათა მარხვითა და სიწმიდითა» (3 კორ. 6, 46) და სხვაგან: უმჯობეს არს არა ჭა-

ქრისტეს მოწაფეები არამც თუ მხოლოდ გვასწავლიდნენ მარხვის შესახებ, არამედ თვითონაცა ასრულებდნენ ამ მცნებას და მარხულობდნენ იმისთანა შესანიშნავ შემთხვევებში, როდესაც უფრო ეჭირებოდათ მადლი და შეწევნა ღვთისა; მაგალ. როდესაც „ბარნაბას და სავლეს ირჩევდნენ მსახურე-



მოვედით ჩემდა ყოველნი მაშვრალნი და ტვირთ-მძიმენი და მე განგისვენო თქვენ.

მა ხორცისა და არცა სპა ღვინისა, არცა რომლითაცა ძმა იგი შენი შებრკოლდების» (რომ. 14, 21) და უკეთუ საჭმელი დააბრკოლებდეს ძმასა ჩემსა, არა ვსჭამო ხორცი უკუნისამდე, რათა არა ძმაი ჩემი დვაბრკოლო (1 კორ. 8, 13).

ბად ღვთისა, «მაშინ იმარხეს და ილოცეს და დასხნეს მათზედა ხელნი მათნი და განუტევეს (საქ. 13, 3)»; აგრეთვე ბარნაბამ და პავლემ ახლად მოქცეულებს «უკურთხეს ეკკლესიად მღვდელნი და ლოცვითა და მარხვითა შეავედრეს იგინი ღმერთსა

(საქ. 14, 23). ამ გვარად თვით წმ. მოციქულლები სთვლიდნენ მარხვას საჭიროდ თავიანთთვის და მით უფრო ჩვენთვის აუცილებლად საჭიროა მარხვა.

2) მარხვა არის ნებითი მოთმინება. არის მარხვა ხორციელი და არის მარხვა სულიერი. ხორციელი მარხვა არის ის, როდესაც ვითმენთ, არა ვსჭამთ და არა ვსვამთ რომელიმე საჭმელ სასმელს; სულიერი მარხვა არის, როდესაც ვეკრძალებით ბოროტ ჰაზრებს, სიტყვებს. საქმეს. კარგი მმარხველია, ვინც არა ცუდად-მეტყველობს და ერიდება ცილსა, ზრახვასა, მლიქვნელობას, ტყუილს. კარგი მმარხველია, ვინც თავის ხელს არ აძლევს ქურდობის და მტაცებლობის ნებას, თავის გულს სხვის ქონების ნდომას. კეთილი მმარხველია, ვინც ეკრძალება ყოველსავე ბოროტსა. ეს არის სულიერი მარხულობა.

სასარგებლოა აგრეთვე ხორციელი მარხულობა. რადგან უღონო-ჰყოფს, დააუძლურებს და დაგვიმორჩილებს ბოროტ ვნებას, მაგრამ ხორციელი მარხულობა, თუ ის სულიერ მარხულობასთან არ არის შეერთებული, ამაოა. ბევრი მარხულობს ხორციელად, მაგრამ სულიერად კი არა, ბევრი მარხულობს, ეკრძალება სასმელ-საჭმელს, მაგრამ ბოროტ განზრახვას, სიტყვას და საქმეს კი მისდევს და რა სასარგებლოა ამისთანა მარხვა?! ბევრი არა სჭამენ ხორცსა, არა სვამენ სასმელს, მაგრამ თავის ენით მოყვასს კი ჰკბენენ და ჰგესლავენ და რა სარგებლია ამ გვარი მარხვისაგან!. ბევრნი არ შეახებენ ხელს სახსნილოს, მაგრამ ქრთამის ასაღებად, მოსაპარად, წასართმევად კი გასწვდიან იმავე ხელს და რა სასარგებლოა ამისთანა მარხვა?! თუ გინდა, რომ მარხვა სასარგებლო იყოს შენთვის, როცა ხორცით მარხულობ, სულითაც იმარხულე. როგორც შენს სხეულს უწესებ მარხვას, შენ სულსაც მარხვა დაუწესე. აუკრძალე შენს გონებას ამაო ფიქრები. მეხსიერებას—ბოროტის ხსოვნა, ნებას—ბოროტი სურვილი და მოქმედება, აარიდე შენი თვალი ბოროტ სახილველს, მოაცალე ენა შენი ჭორის და ყოველგვარი ამაო, ბოროტ და უშვერ ლაპარაკისაგან, განკრძალე ხელი შენი სხვის ქონების მითვისებისაგან, ფეხი შენი—სვლისაგან გზასა ბოროტსა. ,,მოიქეც ბოროტისაგან და ჰქმენ კეთილი“ (ფსალ. 33, 15). ეს არის ქრისტიანული მარხვა.

რედაქციისაგან.

ამ ნომერთან იგზავნება ,,მწყემსი“-ს რედაქციისაგან დაპირებული საჩუქარი ხელის მომწერთათვის ამა 1896 წლისა მხატვრობანი მეფე **დავით აღმაშენებლისა** და იმერეთის ეპისკოპოსის **გაბრიელისა.**

წარსული წლის საჩუქარი ვისაც არა აქვს დღეს მიღებული, ყველას მიუვა. თუ დღემდის არავის გაეგზავნა დაშორებულ ადგილებში—ეს იმიტომ, რომ რედაქციას სათითეულოდ გზავნა მათი ფოსტით ძლიერ საძნელოდ მიაჩნია და ეძებს სანდო პირებს, რომ ფოსტიდამ დაერიგოს ყველა ხელის მომწერთ.

რედაქციის განმარტებით პასუხი.

მღ. ფ. ბ-ძეს. ერთ მეტრიკულ ბლანკის ქაღალდზე შეიძლება რამდენიმე პირთ მიეცეს მოწმობა. ამ გვარ მოწმობაზე უნდა დაეკრას ერთი ოთხ-აბაზიანი მარკა. მეტრიკულ გამოწერილობას თუ მედავითნე ამზადებს და სწერს, რასაკვირველია, მასაც ერგება წილი შემოსული საჩუქრისა და თუ მარტო მღვდელი სწერს და აძლევს მთხოვნელს, მაშინ კი მღვდელს ერგება მთლად.

მღ. ბ. იო-ას. მოუნანებლად ზიარების მიღება მეძავთათვის ცეცხლია და ამას უნდა შთააგონებდეს მოძღვარი. თუ მოძღვარმა შეაგონა, მაშინ იგი თვითონ არ მიიღებს ზიარებას მოუნანებლად.

აზ. ს. გ-ნიას. თქვენგან დასახელებულს მღვდელს არ შეეძლო წირვა, მაგრამ თვითონ იგი აგებს ღმერთს პასუხს.

რედაქციის პასუხი.

ბ. მღ. მ-ია კ-ძეს. რომ დაშინებული არ ვიყოთ თქვენი „პატიოსნური“ საქციელით ფულების ანგარიშის გასწორების შესახებ, გამოგიგზავნიდით. სამი თუმანი შეირჩინე და ეხლა როგორღა გავბვრიყვდებით, რომ ნისიათ გამოგიგზავნოთ რამე...

შ ი ნ ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: რღვნობისა და თოვლის ზვავებისაგან უბედური შემთხვევანი.—იმერეთის ეპისკოპოსის გაბრიელის განსვენებისა გამო.—ტელეგრამმა.—მწყემსის კორრესპონდენციები დ. ყვირილიდამ და გურიიდამ.—ახლად განსვენებულს ყოვლად სამღვდელო გაბრიელს (ლექსი).—ჩემი მოგონებიდამ.—იმერეთის ეპარქიის სამღვდელოების კრება ქუთაისში.—პასუხი უფალს მეთვალყურეს.—სოსიკო კეჩხუაშვილი (ლექსი).—ახალი ამბები და შენიშვნები,—

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე: მარხვა.
—რედაქციისაგან.—რედაქციის განმარტებით პასუხი.

Редакторъ-издатель П. Д. Гамбашидзе. *Дозволено цензурою Тифлисъ*, 13 *Февраля*. 1896 г.
Типографія редакціи (П. Д. Гамбашидзе). Въ Кутаисѣ, помѣщ. въ д. бр. Ханановыхъ, на Нѣмецкой ул.